# ბავშვის განვითარების შეფასება: 54-72 თვე

| ბავშვის სახელი და გვარი: | | საბავშვო ბაღი: | |
|---|---|---|---|
| დაბადების თარიღი: | | შეფასების თარიღი: | |
| ბავშვის ასაკი თვეებში: | | პირის სახელი და გვარი, რომელმაც შეავსო ფორმა: | |

**სფერო I. ფიზიკური განვითარება**

**ქვესფერო 1.1. მსხვილი მოტორული უნარები:** ბავშვი აკონტროლებს სხეულის მოძრაობებს, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დგომა** | ჯერ არა | ფეხს ურტყამს მისი მიმართულებით მოძრავ დიდი ზომის ბურთს | | ცალი ფეხით სასურველი მიმართულებით ურტყამს ფეხბურთის ბურთს | | ცალ ფეხზე დგას მინიმუმ 30 წამის განმავლობაში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სიარული** | ჯერ არა | სიარულიასას თავს არიდებს დაბრკოლებებს, მაშინაც კი, როცა ხელში უჭირავს შედარებით მოზრდილი საგანი | | დახაზულ ხაზზე ან ფიცარზე გავლისას ინარჩუნებს წონასწორობას | | დადის წყლით სავსე ჭიქით, ისე რომ არ ღვრის სითხეს |
| **სირბილი** | ჯერ არა | სირბილისას ხშირად იცვლის მიმართულებას გაჩერების გარეშე | | დარბის შეუფერხებლად | | დარბის დაბრკოლებების გვერდის ავლით |
| **კიბეებზე ასვლა** | ჯერ არა | კიბეებზე ჩამოდის ფეხების მონაცვლეობით, დამოუკიდებლად | | კიბეებზე ადის და ჩამოდის ფეხების მონაცვლეობით, დამოუკიდებლად | | დამოუკიდებლად ადის და ჩამოდის კიბეებზე, ფეხების მონაცვლეობით, როდესაც ერთ ან ორივე ხელში უჭირავს რაიმე ნივთი |
| **ველოსიპედი** | ჯერ არა | სამთვლიან ველოსიპედს ატარებს | | შეუძლია სამთვლიანი ველოსიპედის გაჩერება და მოძრაობის დაწყება | | სამთვლიანი ველოსიპედით უხვევს და მოძრაობისას გვერდს უვლის დაბრკოლებებს. |
| **ხტომა** | ჯერ არა | წინ ხტება (რომელიმე ფეხი წამყვანია) | | ერთდროულად ორივე ფეხით ხტება წინ | | შეუძლია ჩამოხტეს დაბალი სიმაღლიდან (დაახლ. 20-30 სმ.). |
| **აძრომა** | ჯერ არა | ძელზე ხელების მოჭიდებით ეკიდება | | ძელზე ხელების მოჭიდებით ეკიდება და ინარჩუნებს პოზიციას 5 თვლამდე | | ძელზე ხელების მოჭიდებით ეკიდება და ინარჩუნებს პოზიციას 10 თვლამდე |

| **სროლა და დაჭერა** | ჯერ არა | შეუძლია ნასროლი ბურთის დაჭერა | | იატაკს ურტყამს დიდი ზომის ბურთს და ასხლეტილს იჭერს | | იჭერს დიდ ბურთს ორივე ხელით 3 მეტრის მანძილიდან |
|---|---|---|---|---|---|---|
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 40 | **პროცენტი:** | % | |

**ქვესფერო 1.2 წვრილი (ნატიფი) მოტორიკა:** ბავშვი კოორდინირებულად აკონტროლებს და იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს.

| **კატეგორიები:** | **ჯერ** | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | არა | | | | | |
| **დაჭერა** | ჯერ არა | ფანქარს სამი თითით იჭერს | | ფანქარს და კალმებს სამი თითით იჭერს | | ძაფს სამი თითით იჭერს |
| **კოორდინირებული ხელის მოძრაობები** | ჯერ არა | ხსნის და ამაგრებს ხრახნიან თავსახურებს | | ამზადებს ქაღალდის მარტივ თვითმფრინავს | | დამოუკიდებლად იკრავს ფეხსაცმლის თასმებს |
| **კუბურები და თავსატეხები** | ჯერ არა | აწყობს მარტივ თავსატეხს 8-10 ნაწილისგან | | პლასტილინისა და თიხისაგან აკეთებს მარტივ ფიგურებს (მაგ.: ადამიანს, ყვავილსა და ქოთანს და სხვ). | | დამოუკიდებლად აწყობს რთულ თავსატეხს 20 ნაწილისგან |
| **ქაღალდი და მაკრატელი** | ჯერ არა | წრეებს ჭრის | | ფორმებს ჭრის მცირედი აცდენებით | | ფორმებს ჭრის აკურატულად |
| **წერა** | ჯერ არა | დომინანტური ხელით შეუძლია მეორე ხელის ირგვლივ კონტურის შემოვლება | | სიამოვნებით იყენებს „წერას“ თამაშისას | | წერს სამი თითით რამდენიმე ასოს და თავის სახელს |
| **თითოეული ქულით** | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა: | | | | | | |
| ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა): | | | | | | |
| ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი: | | შესაძლო მაქს. ქულა: | 25 | პროცენტი: | % | |

| სფერო | სფეროში ყველა ინდიკატორის ქულების ჯამი: | | შესაძლო ქულები: | პროცენტი (მე-2 სვეტიდან მიღებული ჯამი გაყავით შესაძლო ჯამზე): |
|---|---|---|---|---|
| I. ფიზიკური განვითარება | 1.1 მსხვილი მოტორული უნარები | | 65 | % |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1.2 წვრილი (ნატიფი) მოტორიკა | | | |
| | ჯამი | | | |

| |
|---|
| კომენტარები ბავშვის ფიზიკური და სენსორული განვითარების შესახებ: |

| |
|---|
| ოჯახის კომენტარები  ბავშვის ფიზიკური და სენსორული განვითარების შესახებ: |

სფერო II. სოციალურ-ემოციური განვითარება

**ქვესფერო 2.1 თვითშემეცნება:** ბავშვი ავლენს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მიჯაჭვულობა** | ჯერ არა | ადვილად ემშვიდობება ოჯახის წევრებს | | საჭიროების შემთხვევაში, ითხოვს დახმარებას ან რჩევას აღმზრდელისგან | | მიჰყვება აღმზრდელის მითითებებს ან რჩევებს |
| | | მაგალითი: ნინო დედას მხიარულად ეუბნება: „ნახვამდის, დედა, ახლა მეგობრებთან ერთად ვითამაშებ!“ | | მაგალითი: გიორგი თავის აღმზრდელს რჩევას სთხოვს, თუ როგორ დაკეცოს ქაღალდი, რომ ქაღალდის თვითმფრინავი აფრინდეს | | მაგალითი: ლაშა რამდენიმე დღე აღმზრდელთან ერთად მუშაობს თავსატეხის აწყობაზე და ნაწილებს სხვადასხვანაირად ალაგებს |
| **თვით-იდენტობა** | ჯერ არა | ესმის, რომ აქვს აზრები, გრძნობები, ემოციები | | იცის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა საკუთარი მისამართი და მშობლების მობილური ტელეფონის ნომრები | | აღწერს საკუთარ თავს რამდენიმე ფიზიკური და ქცევითი მახასიათებლის მიხედვით |
| | | მაგალითი: დავითი ამბობს: „გავბრაზდი, როცა გარეთ თამაში ვერ შევძელით, მაგრამ დედაჩემმა თქვა, რომ დავსველდებოდი“. | | მაგალითი: თაკო სწორად ასახელებს სახლის მისამართს და დედის მობილური ტელეფონის ნომერს | | მაგალითი: ლაშა მეგობარს ეუბნება: „მე მაღალი ვარ, წითური თმა მაქვს და ძალიან სწრაფად შემიძლია სირბილი“ |
| **კომპეტენცია** | ჯერ არა | სიფრთხილეს იჩენს საგნებით მანიპულირებისას, კარგად ესმის მათი დანიშნულება და | | დაინტერესებულია ახალი აქტივობებითა და სიტუაციებით | | გამოხატავს სიხარულს აქტივობისს შესრულებისას და დადებითად რეაგირებს, |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | იცის გამოყენება | | | | როდესაც სხვები ასრულებენ აქტივობას |
| | | მაგალითი: ანიკა ფრთხილად იყენებს მაკრატელს, დანა-ჩანგალს და ა.შ. | | მაგალითი: ნუცა გამადიდებელი შუშით აკვირდება მუხლუხოს და აღწერს მის ფერსა  და საცეცების რაოდენობას. | | მაგალითი: ნინო ეუბნება ანდროს „აუ, რა მაგარი ხიდი აგიშენებია!“ |
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 15 | **პროცენტი:** | % | |

**ქვესფერო 2.2 ემოციური კომპეტენცია:** ბავშვი ავლენს ემოციურ კომპეტენციას.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ემოციების გაგება** | ჯერ არა | აღწერს იმ დროს, როდესაც მისმა ქცევამ გავლენა მოახდინა სხვის გრძნობებზე | | აღწერს სხვების გრძნობებს და საჭიროების შემთხვევაში თანაგრძნობით რეაგირებს | | ესმის ემოციებს, ქმედებებსა და ნათქვამს შორის კავშირი |
| | | მაგალითი: მირიამი ამბობს: „ჩემი ძმა გაბრაზდა, როცა მისი სატვირთო მანქანა ავიღე“. | | მაგალითი: ლიკა ამჩნევს, რომ სხვა ბავშვი განაწყენებულია, რადგან დაეცა და მუხლი იტკინა. ლიკა ბავშვს ეკითხება: „გტკივა?“ | | მაგალითი: ნინოს ეწყინა, თაკომ რომ გაიცინა, როცა ნინო შემთხვევით დავარდა |
| **ემოციების გამოხატვა** | ჯერ არა | ასახელებს და საუბრობს საკუთარ გრძნობებსა და ემოციებზე, მათ შორის უფრო რთულ გრძნობებზე, როგორიცაა იმედგაცრუება, სიამაყე | | უზიარებს თავის შიშს, მღელვარებას, სიხარულს მშობლებს, თუ სხვა მზრუნველ პირს. | | იცის და განმარტავს თუ რას ნიშნავს სიამაყე, შური და სხვა ემოციები |
| | | ალექსანდრე ამბობს: „ იმედი გამიცრუვდა, ზოოპარკში რომ ვერ წავედით“ ან ნიკო ამბობს: „ვნერვიულობ, როცა გუნდში სხვების წინაშე ვმღერი “. | | მაგალითი: გუშინ შუქი ჩაქრა, ოთახში მართი ვიყავი და შემეშინდა, სანამ დედა შემოვიდა | | მაგალითი: თამარი ამბობს, დედინაცვალს შურდა ფიფქია რომ ლამაზი იყო ან როგორ ამაყობს ნიკო ძმა რომ ფეხბურთელი ყავს! |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ემოციებისა და ქცევის მართვა** | ჯერ არა | ძლიერი ემოციების დროს მშვიდდება ზრდასრულის მცირე დახმარებითაც კი | | ასახელებს ისეთ ძლიერ ემოციებს, როგორიცაა ბრაზი და შიში და ცდილობს თავი აკონტროლოს აღმზრდელის დახმარების გარეშე. | | ძლიერი ემოციების დროს მშვიდდება დამოუკიდებლად, ზრდასრულის დახმარების გარეშე |
| | | მაგალითი: ნინოს სითხე დაეღვარა და ამის გამო ცუდ განწყობაზე დადგა. ნინო ტილოს მოსატანად წავიდა, მას შემდეგ, რაც აღმზრდელმა შესთავაზა ერთად გაეწმინდათ იატაკი. . | | მაგალითი: მეშინია ამაზე აცოცება, მაგრამ ვცდი | | მაგალითი: გიორგი ამბობს ნუ მეჯახები!“, როდესაც სხვა ბავშვიც ცდილობს წყლის მაგიდასთან თამაშს. შემდეგ ის ცოტას ჩაიწევა და ამბობს „აი, აქ არის ადგილი შენთვის“ |
| **იმპულსებისა და ქცევის მართვა** | ჯერ არა | შეუფერხებლად გადადის ერთი აქტივობიდან მეორეზე | | ზოგჯერ ლოდინის უნარს ავლენს | | იცის კონკრეტული აქტივობებისთვის საჭირო ნივთები |
| | | მაგალითი: მარია ქვიშის სათამაშოებს შესანახ ურნაში დებს, როდესაც ეუბნებიან, რომ შიგნით შესვლის დროა | | მაგალითი: თომა ორ მეგობართან ერთად აშენებს რკინიგზის ლიანდაგს. ბავშვები რიგრიგობით აერთებენ ნაწილებს | | მაგალითი: გიორგის დედა ეუბნება, რომ ისინი პარკში მიდიან და შემდეგ აუზზე, ამიტომ გიორგი საცურაო კოსტუმის ასაღებად მიდის |
| **თითოეული ქულით შეფასებული** | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 20 | **პროცენტი:** | % | |

**ქვესფერო 2.3 სოციალური კომპეტენცია:** ბავშვი პროსოციალურ ქცევას ავლენს.

| **კატეგორიები:** | **ჯერ არა** | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სოციალური მოლოდინები და ნორმები** | ჯერ არა | იცავს წესებს სხვადასხვა გარემოში | | განმარტავს საბავშვო ბაღის წესებს და საკუთარი ოჯახის წესებს | | აფასებს, სწორია თუ არასწორია ქცევა |
| | | მაგალითი: ლიკა ბიბლიოთეკაში ან თეატრში | | მაგალითი: ნინო ამბობს: „როდესაც ჭამას ვასრულებთ, თეფშს ნიჟარაში ვდებთ და | | მაგალითი: თომა ამბობს: „ჯგუფში სირბილი არ შეიძლება, რადგან შეიძლება ვინმე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შესვლისას ხმადაბლა საუბრობს | | სკამს ვასწორებთ“ | | დაშავდეს“ |
| **ურთიერთობები** | ჯერ არა | ადვილად ურთიერთობს ნაცნობ უფროსებთან | | ჰყავს მეგობრები სხვადასხვა გარემოში  ( ეზოში, სოფელში, საბავშვო ბაღში და ა.შ.) | | ჰყავს ორი ან მეტი თანატოლი მეგობარი |
| | | მაგალითი: ბაღში ყოფნისას თომა თავის აღმზრდელს ეკითხება: „გინდა ეს წიგნი ჩემთან ერთად წაიკითხო?“ | | მაგალითი: ნინა ეუბნება თავის აღმზრდელს : „თამარი ჩემი ბაღის მეგობარია . ჩემი მეგობარი გიორგი ჩემი მეზობელია‘‘ | | მაგალითი: ლაშა თავის აღმზრდელს ეუბნება: „მე 5 წლის ვარ, თომა 5 წლისაა და ჩემი ბიძაშვილიც 5 წლისაა!“ |
| **სოციალური თამაში** | ჯერ არა | უერთდება ბავშვების ჯგუფებს, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა თამაშებში, თამაშობენ ერთად და იცავს წესებს | | ადვილად უერთდება უკვე მიმდინარე ჯგუფურ აქტივობას | | ორ ან მეტ ბავშვთან ერთად თანხმდება თამაშის სცენარზე. |
| | | მაგალითი: მიხო შეუერთდა ბავშვების ჯგუფს, რომლებიც ნავს აშენებენ და მიდის ჯოხების მოსატანად, რათა ღუზა ააგოს | | მაგალითი: ნუცა შეუერთდა ბავშვების ჯგუფს, რომლებიც რესტორნობანას თამაშობენ, მაგიდასთან ჯდება და ამბობს: „მენიუ მინდა“. | | მაგალითი: თამარი ორ მეგობართან ერთად გეგმავს ნავის აშენებას, ერთად არჩევს მასალებს და ანაწილებს ვინ რას გააკეთებს. |
| **კონფლიქტის მოგვარება** | ჯერ არა | კონფლიქტისას საკუთარ პოზიციას განმარტავს | | ზოგჯერ კონფლიქტში კომპრომისზე მიდის; მზადაა, დაელოდოს | | კონფლიქტის მოსაგვარებლად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიასა და საშუალებას |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მაგალითი: თამარი ამბობს: „მაგრამ თოჯინა ჯერ მე მქონდა!“ | | მაგალითი: თომა ელოდება, როდის მორჩება კატო მისი საყვარელი სამთვლიანი ველოსიპედის ტარებას, ისე რომ არ ცდილობს წართმევას. | | მაგალითი: დრამატულ ცენტრში ნინო ეუბნება თავის მეგობარს, რომელსაც ყვითელი ქუდი ახურავს: „ მეც მინდა ყვითელი ქუდი. მოდი, რიგ-რიგობით დავიხუროთ |
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 20 | **პროცენტი:** | % | |

| **სფერო** | **სფეროში ყველა ქვესფეროს ქულების ჯამი:** | **შესაძლო ქულები:** | **პროცენტი (მე-2 სვეტიდან მიღებული ჯამი გაყავით** |
|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | შესაძლო ჯამზე): |
| II. სოციალურ-ემოციური განვითარება | 2.1 თვითშემეცნება | | 55 | % |
| | 2.2 ემოციური კომპეტენცია | | | |
| | 2.3 სოციალური კომპეტენცია | | | |
| | ჯამი | | | |

| |
|---|
| აღმზრდელისშენიშვნები ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარების შესახებ: |

| |
|---|
| ოჯახის წევრების შენიშვნები ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარების შესახებ: |

**სფერო III. კომუნიკაცია, ენა და მეტყველება**

**ქვესფერო 3.1 რეცეპტული ენა:** ბავშვი ავლენს მოსმენის და მოსმენილის მნიშვნელობის გაგების უნარს.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სიტყვების მნიშვნელობა** | ჯერ არა | ესმის მრავალფეროვანი ლექსიკა ყოველდღიურ და საგანმანათლებლო კონტექსტში; სწორად რეაგირებს რთულ ინსტრუქციებზე | | შეუძლია ახალი სიტყვების სწავლა  წაკითხულის მოსმენით. | | იცის, რომ ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება ორ რამეს ნიშნავდეს |
| | | მაგალითი: ესმის არა მხოლოდ კონკრეტული და ყოველდღიური სიტყვების მნიშვნელობა, არამედ აბსტრაქტული სიტყვების მნიშვნელობაც (სამართლიანი, სამართალი, სასამართლო და ა.შ.). | | მაგალითი: წიგნის კითხვის დროს ნინამ სიტყვის მნიშვნელობა იკითხა და მოგვიანებით ეს სიტყვა მეგობართან საუბრისას გამოიყენა. | | მაგალითი: იცის, რომ ბარი შეიძლება ნიშნავდეს მიწის დასაბარ ინსტრუმენტსაც და გასართობ ადგილსაც |
| **ინსტრუქციები** | ჯერ არა | ასრულებს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ მითითებას თანმიმდევრობით, | | ასრულებს სამ მითითებას თანმიმდევრობით, როდესაც მოქმედებები ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული | | ასრულებს სამსაფეხურიან ინსტრუქციებს მოცემული თანმიმდევრობით, სადაც მოქმედებები შეიძლება ერთმანეთთან არ იყოს დაკავშირებული. |
| | | მაგალითი: გააღე კარადა, აიღე შენი ქურთუკი და | | მაგალითი:დადე ეს კუბი სკამზე, დაახურე ყუთს | | მაგალითი: დადე ეს კუბიკი სკამზე, შემდეგ დაახურე ყუთს |

| | | ჩაიცვი | | თავსახური და მომეცი ფანქარი | | თავსახური და შემდეგ მომეცი ფანქარი. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 10 | **პროცენტი:** | % | |

**ქვესფერო 3.2 ექსპრესიული ენა:** ბავშვი გამოხატავს საკუთარ თავს სიტყვების, ჟესტებისა და სწორი არტიკულაციის გამოყენებით.

| **კატეგორიები:** | **ჯერ არა** | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვერბალური** | ჯერ არა | იყენებს რთულ ქვეწყობილ წინადადებებს | | გრამატიკულად სწორად საუბრობს გრძელი და რთული წინადადებებით | | რთულ და აბსტრაქტულ იდეებს უზიარებს სხვებს  და განიხილავს |
| | | მაგალითი: დათა იყენებს წინადადებებს, სადაც არის სიტყვები, მაგრამ, რადგან, ამიტომ, მაგის მერე და ა.შ. | | მაგალითი: ლევანი იმიტომ გაბრაზდა, რომ ანდრომ მოატყუა და სათამაშო არ ათხოვა, არ გაბრაზდებოდა, ანდროს რომ არ მოეტყუებინა. | | მაგალითი: დიდი რომ გავიზრდები კანონს მოვიფიქრებ ძაღლები ქუჩაში რომ არ გააგდონ |
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 5 | **პროცენტი:** | % | |

**ქვესფერო 3.3 პრაგმატული ენა:** ბავშვი მეტყველებას სხვადასხვა მიზნით იყენებს.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ინტერაქცია** | ჯერ არა | ესმის და იყენებს არაპირდაპირ მოთხოვნებს | | ეფექტურად იყენებს ენას სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში | | ესმის იუმორი და ხატოვანი ენა, ამჩნევს სიტყვების ორაზროვან მნიშვნელობას (მაგ., ხატოვანი მნიშვნელობა, და ა.ს.) |
| | | მაგალითი: ამბობს: „როგორ მომწონს ეს თამაში“, როდესაც თამაშში შეერთება უნდა ან „რა გემრიელი სუნია“, როდესაც ნამცხვარი უნდა | | მაგალითი: დღეს რა კარგად ვითამაშე არა, გინდა ხვალაც ერთად ვითამაშოთ?! | | მაგალითი: ის ისეთია ბუზსაც არ ააფრენს |
| **ამბის მოყოლა** | ჯერ არა | მოგვითხრობს ამბავს მკაფიო დასაწყისითა და დასასრულით | | მოგვითხრობს ამბავს დასაწყისით, პერსონაჟებით და დასასრულით | | მოგვითხრობს ამბავს მკაფიო დასაწყისით, გარემოს, პერსონაჟების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერილობებით, ამ ქმედებების შედეგებითა და მკაფიო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | დასასრულით. |
| | | მაგალითი: ნიკა ყვება როგორ წავიდა წითელქუდა ბებოსთან, როგორ შეჭამა მგელმა და როგორ გადაარჩინა მონადირემ | | მაგალითი: ნიას შეუძლია კომბლეს და სხვა ზღაპრების თანმიმდევრულად მოყოლა | | მაგალითი: ლიკა თამუნას გუშინ წაკითხულ მოთხრობას უყვებოდა და ზუსტად აღწერა ყველაფერი, რაც წავუკითხე, სად ხდებოდა მოთხრობა, ვინ იყვნენ მთავარი გმირები და ა.შ. |
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 10 | **პროცენტი:** | % | |

**ქვესფერო 3.4 წერა-კითხვის საბაზისო უნარები:** ბავშვი იყენებს წერისა და კითხვის განვითარების უნარებს.

| **კატეგორიები:** | **ჯერ არა** | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფონოლოგიური ცნობიერება** | ჯერ არა | სამი შეთავაზებული სიტყვიდან სწორად ამოიცნობს, რომელია განსხვავებული; ცნობს სიტყვები რომელი ასოთი იწყება | | სწორად აერთებს ბგერებს და წარმოთქვამს სიტყვებად, ყოფს სიტყვებს ბგერებად | | სწორად ასახელებს ახალ სიტყვას, რომელიც წარმოიქმნება სიტყვის დასაწყისში ასოების დამატებით ან შეცვლით. |
| | | მაგალითი: ქალი, სახლი, ბალი -სახლი; ჩემი სახელი ნ-ზე იწყება, ნიკოსიც. | | მაგალითი: თ-ო-კ-ი, აბა, რა სიტყვაა: თოკი<br>მოდი, დავშალოთ სიტყვა "ბაბუ" ასოებად: "ბ-ა-ბ-უ" | | მაგალითი: სიტყვა "გოლ"-ში პირველი ასო ბ-თი რომ შევცვალოთ, რა სიტყვა გამოვა? "ბოლი". |
| **წერისთვის მზაობა** | ჯერ არა | წერს საკუთარ სახელს (ნიმუშის მიხედვით ან მის გარეშე) | | გამოთქვამს საკუთარ იდეებს, აზრებს და მზრუნველს მათ ჩაწერას სთხოვს. | | ცდილობს ასოების გამოყვანას |
| **კითხვა** | ჯერ არა | ცნობს საკუთარი სახელის | | იწყებს ზოგიერთი სიტყვის | | ცნობს წარწერებს მის გარშემო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ასოებს | | ამოცნობას ვიზუალურად, მათი ასო-ასო ამოკითხვის გარეშე | | |
| | | მაგალითი: ლილი გუშინ ნუცას თავის სახელს ანახებდა და ეუბნებოდა აი: ლ-ი-ლ-ი | | მაგალითი: გოგი უკვე ცნობს რამდენიმე სიტყვას თავის საყვარელ წიგნში | | მაგალითი: ნიას უკვე შეუძლია ჯგუფის წესები და ცენტრის წარწერები თითქმის დამოუკიდებლად წაიკითხოს |
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 15 | **პროცენტი:** | % | |

| **სფერო** | **სფეროში ყველა ქვესფეროს** | **შესაძლო ქულები:** | **პროცენტი (მე-2 სვეტიდან** |
|---|---|---|---|

| | ქულების ჯამი: | | | მიღებული ჯამი გაყავით შესაძლო ჯამზე): |
|---|---|---|---|---|
| III. კომუნიკაცია, ენა და მეტყველება | 3.1 რეცეპტული ენა | | 40 | % |
| | 3.2 ექსპრესიული ენა | | | |
| | 3.3 პრაგმატული ენა | | | |
| | 3.4 წერა-კითხვის საბაზისო უნარები: | | | |
| | ჯამი | | | |

| |
|---|
| აღმზრდელის შენიშვნები ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების შესახებ: |

| |
|---|
| ოჯახის ჩანაწერები ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების შესახებ: |

## სფერო IV. შემეცნებითი განვითარება

**ქვესფერო 4.1 ცნობისმოყვარეობა და ყურადღება:** ბავშვი ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ; შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცნობისმოყვარეობა** | ჯერ არა | ახალი მოვლენების შესწავლისადმი ინტერესს ავლენს | | ეძებს ახალ ინფორმაციას, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამება | | სვამს კითხვებს და მონაწილეობს დისკუსიებში  სხვადასხვა საკითხებისა და მოვლენების შესახებ |
| | | მაგალითი: მაკვირდება და კითხვებს სვამს, როდესაც კვერცხის ჩაძირვაზე ვატარებთ ექსპერიმენტს | | მაგალითი: ფრინველების შესწავლაზე ორიენტირებული პროექტის დროს ნინო ათვალიერებს წიგნებს, რათა მეტი გაიგოს იმის შესახებ, თუ რით იკვებებიან ფრინველები. | | მაგალითი: ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებული პროექტის დროს ლაშა სვამს კითხვას : „შეგვიძლია უფროსებს წერილი მივწეროთ და ნარჩენების გადამუშავების მნიშვნელობაზე ვუამბოთ?“ |
| **ყურადღების კონცენტრაცია** | ჯერ არა | შეუძლია დაუბრუნდეს აქტივობას გარკვეული პაუზის შემდეგ | | ისახავს მიზანს და დამოუკიდებლად ცდილობს მის მიღწევას წინასწარ დაგეგმილი გეგმის მიხედვით | | ფოკუსირებულია იმ საგანზე ან ადამიანზე, რომელიც კონკრეტულ მომენტში მთელი ჯგუფის ყურადღების ცენტრშია. |
| | | მაგალითი: სადილის შემდეგ სანდრო კვლავ | | მაგალითი: თამარი აღმზრდელს ეუბნება: „მინდა | | მაგალითი: ნინო ჩუმად ზის და უსმენს ჯგუფში მოსული სტუმრის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მივიდა თავის სამშენებლო მაკეტთან და განაგრძო მშენებლობა | | ფეხბურთის ბურთი კარში გავიტანო. აქედან დარტყმას იმდენჯერ ვცდი, სანამ ბურთი კარში არ გავა | | საუბარს |
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 10 | **პროცენტი:** | % | |

**ქვესფერო4.2 შემოქმედებითობა და პრობლემების გადაჭრა:**

ბავშვი შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზას.

| **კატეგორიები:** | **ჯერ** | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | არა | | | | | |
| **შემოქმედებითობა** | ჯერ არა | სხვადასხვა ნივთების შერწყმით ქმნის რაღაც ახალს ან ქმნის ან ცვლის თამაშის ან აქტივობის წესებს | | იდეის განხორციელებისას განსხვავებულ ტექნიკას იყენებს | | ნაცნობ ამბავს ცვლის სხვადასხვა პერსონაჟების ან მოქმედებების დამატებით |
| | | მაგალითი: ირაკლიმ სკამებს ზეწარი გადააფარა „კარავის" გასაკეთებლად.<br><br>თომა შლანგს იღებს და თითქოს ბენზინს ასხამს, სანამ სხვა ბავშვები რიგში სამთვლიანი ველოსიპედებით ელოდებიან. | | მაგალითი: აშენებს სხვა ბავშვებისგან განსხვავებულ კუბურების სახლს | | მაგალითი: ელზა ბავშვებს უყვება წითელქუდას ამბავს, სადაც მგელი კეთილი პერსონაჟია |
| **პრობლემის გადაჭრა** | ჯერ არა | სხვა ბავშვებთან ერთად ეძებს პრობლემის გადაჭრის გზებს | | განსაზღვრავს დავალებებს ან აქტივობებს, რომლებიც, სავარაუდოდ, რთული იქნება | | პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს |
| | | მაგალითი: ნია და გიო კოსმონავტობანას თამაშობენ. მაგრამ მათ კოსმოსურ ხომალდს (მუყაოს ყუთს) საწვავი ელევა. გიო ნიას სთავაზობს, | | მაგალითი: ბავშვი ხედავს თავსატეხს, რომელიც ბევრი პატარა ნაწილისგან შედგება და ამბობს, რომ ეს მისთვის რთული იქნება | | მაგალითი: თომა აშენებს ძალიან გრძელ ხიდს და სხვადასხვა ფორმისა და ზომის კუბურებს ამატებს მანამ, სანამ ხიდი დამოუკიდებლად არ დადგება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | რომ კოსმოსური სადგური მოძებნონ საწვავის შესავსებად, მაგრამ ნია ფიქრობს, რომ მათ თავად უნდა ააშენონ საწვავის სადგური. ისინი განიხილავენ თავიანთ ვარიანტებს და საბოლოოდ გადაწყვეტენ, რომ საწვავად ახლომდებარე პლანეტაზე ნაპოვნი „კოსმოსური კრისტალები“ გამოიყენონ. ისინი ერთად აგროვებენ „კოსმოსურ კრისტალებს“ და საწვავით ავსებენ კოსმოსურ ხომალდს და აგრძელებენ წარმოსახვით მოგზაურობას კოსმოსში. | | | | |
| **თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა:** | | | | | | |
| **ჯამი (შეფასებული** | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ინდიკატორების რაოდენობა x ქულა):** | | | | | | |
| **ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი:** | | **შესაძლო მაქს. ქულა:** | 10 | **პროცენტი:** | % | |

**განზომილება 4.3 აზროვნება და კვლევა:**

ბავშვი ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, სწვდება მიზეზშედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სიმბოლური აზროვნება** | ჯერ არა | თამაშისას წარმოსახვით საგნებს იყენებს | | ამოიცნობს გრაფიკულ სიმბოლოებს, რომლებიც აღნიშნავს ადგილის დანიშნულებას (მაგ., გასასვლელი, მიწისქვეშა გადასასვლელი, სამედიცინო | | იყენებს საგნებს, სურათებს ან სიმბოლოებს, რათა დაეხმაროს სხვებს გაგებაში რაიმეს აღწერისას ან ამბის მოყოლისას |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | პუნქტი, ტუალეტის სიმბოლოები). | | |
| | | მაგალითი: ნათიას თითქოს ბავშვი უჭირავს ხელში და აძინებს, თუმცა ხელები ცარიელი აქვს. | | მაგალითი: ამ წითელ რგოლზე ეს თეთრი ხაზი რომ არის, ე.ი. შესვლა არ შეიძლება? | | მაგალითი: ნიკო ამბობს: „გუშინ დიდი წითელი სახანძრო მანქანა დავინახე! მას ასეთი  კიბე ჰქონდა, *ნიკო ხელს ზემოთ სწევს* და ასეთ ხმას გამოსცემდა, *ნიკო სირენის ხმას ბაძავს*.“ |
| **რეალობა და ფანტაზია** | ჯერ არა | იწყებს იმის გააზრებას, რომ ფილმებში ნანახი რაღაცეები, მაგალითად ანიმაცია, სპეციალური ეფექტები და ზღაპრები, არარეალურია. | | განსაზღვრავს მომენტს, როდესაც წარმოსახვა რეალობაში ერთვება | | ზღაპრის ან ანიმაციური ფილმის გმირებს რეალურ ადამიანებთან აკავშირებს |
| | | მაგალითი: ჯადოსნური სამეფოს შესახებ ზღაპრის კითხვისას ლევანი ამბობს: „მომწონს ეს ამბავი, მაგრამ ვიცი, რომ დრაკონები და ჯადოქრები სინამდვილეში არ არსებობენ.‘‘ | | მაგალითი: „მე უბრალოდ ვთამაშობდი“, ამბობს ბავშვი რაღაც წარმოსახვითი თამაშის დროს. | | მაგალითი: ბავშვი ამბობს: „მამიკო ისეთივე ჭკვიანი და ძლიერია, როგორც კაპიტანი ამერიკა“. |
| **მიზეზშედეგობრიობა** | ჯერ არა | აკეთებს პროგნოზებს/ვარაუდებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს მათი ქცევა რაიმეზე | | ატარებს ექსპერიმენტს, რომელიც ნათლად აჩვენებს, თუ როგორ გადადის ობიექტი ერთი მდგომარეობიდან მეორეში | | განმარტავს, თუ როგორ მიიღება სხვადასხვა შედეგი, სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მაგალითი: ნანამ თოვლი მწვანედ შეღება და მერე იკითხა, ახლა მწვანე წვიმა წამოვა? | | მაგალითი: თაკოს წყლით სავსე კონტეინერი აქვს და აჩვენებს, თუ როგორ იყინება ის საყინულეში და როდესაც გამოაქვთ, ოთახის ტემპერატურამდე თბება და დნება | | მაგალითი: ყვითელისა და წითელის შერევით მიიღება ნარინჯისფერი, ხოლო ყვითელისა და ლურჯის შერევით მიიღება მწვანე |
| **ინტერპრეტაცია** | ჯერ არა | აანალიზებს სიტუაციებს და წინასწარმეტყველებს შესაძლო შედეგებს | | გეგმავს მოქმედებებს და მიზნის დასახვისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას | | კონკრეტული საკითხის შესახებ საკმარისად დამაჯერებელ და შინაარსიან ახსნას იძლევა ზრდასრული ადამიანის დახმარების გარეშე. |
| | | მაგალითი: ამ ყვავილს წყალი არ ჰქონია და დაჭკნა, ახლა რომ მოვასხათ, გამოცოცხლდება | | მაგალითი: „ ყველაზე მაღალი კოშკი უნდა ავაშენო, და რომ არ დაინგრეს, როგორც ეს წინა ჯერზე მოხდა, ჯერ ყველაზე დიდ კუბურებს დავაწყობ | | მაგალითი: ირაკლი ამბობს, რომ მას არ შეუძლია ბურთზე კუბურის დადება, რადგან ბურთი მრგვალია |
| **კვლევა** | ჯერ არა | აკეთებს პროგნოზებს იმის შესახებ, თუ რა მოხდება | | აღწერს სხვადასხვა დღეს მომხდარ მოვლენებს „შედარებითი“ სიტყვების გამოყენებით | | თანატოლებს უსვამს კითხვებს, ადარებს მათ პასუხებს და აკეთებს დასკვნებს |
| | | მაგალითი: მიხეილი წინასწარმეტყველებს, რომ საზამთრო წყლით სავსე კასრში იტივტივებს | | მაგალითი: ნათია ამბობს: „დღეს გუშინდელთან შედარებით მეტი ვიარეთ“. | | მაგალითი: ნინიმ გამოარკვია, რომ ჯგუფში 8 ბავშვს მოსწონს წითელი ვაშლი, ხოლო 15 ბავშვს მწვანე ვაშლი და რომ ჯგუფში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | უმეტესობა  მწვანე ვაშლის მოყვარულია |
| თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა: | | | | | | |
| ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა): | | | | | | |
| ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი: | | შესაძლო მაქს. ქულა: | 25 | პროცენტი: | % | |

| სფერო | სფერში ყველა ქვესფეროს ქულების ჯამი: | | შესაძლო ქულები: | პროცენტი (მე-2 სვეტიდან მიღებული ჯამი გაყავით შესაძლო ქულებზე): |
|---|---|---|---|---|
| | **4.1 ცნობისმოყვა** | | 45 | % |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **IV.** შემეცნებითი განვითარება | რეობა და ყურადღება | | | |
| | **4.2** შემოქმედები თობდა პრობლემები ს გადაჭრა | | | |
| | **4.3** აზროვნება და კვლევა | | | |
| | ჯამი | | | |

| |
|---|
| აღმზრდელის შენიშვნები ბავშვის კოგნიტური განვითარების შესახებ: |

| |
|---|
| ოჯახის შენიშვნები ბავშვის კოგნიტური განვითარების შესახებ: |

V სფერო. დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა

**განზომილება 5.1 დამოუკიდებლობა და ინიციატივა:** ბავშვი ავლენს ინიციატივას და დამოუკიდებლობას.

| **კატეგორიები:** | **ჯერ არა** | **1** | **2** | **3** | **4** | **5** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ავტონომია** | ჯერ არა | იცავს თავის იდეებს | | აყენებს პირად მიზნებს და მიუხედავად გამოწვევებისა, ზრდასრულის მითითების გარეშე აგრძელებს მცდელობას. | | ერთგულია თავისი სურვილის მიმართ |
| | | მაგალითი: თამაშისას ამბობს ხოლმე, „ეს ჩემი აზრი (ან იდეა) იყო | | მაგალითი: გადაწყვეტს ველოსიპედის ტარება ისწავლოს და ყოველდღე ვარჯიშობს; აცხადებს "ყველაზე მაღალ კოშკს ავაშენებ" და მეთოდურად მუშაობს | | მაგალითი: ბავშვი: „დღეს სამშენებლო კუბურებით მინდა თამაში“. აღმზრდელი: „მაგრამ გუშინ თქვი, რომ მატარებლით თამაში გინდოდა“. ბავშვი: „ვიცი, მაგრამ დღეს ნამდვილად მინდა კუბურებით თამაში, რაღაც განსაკუთრებული უნდა ავაშენო. უკვე გადავწყვიტე“. |
| **დამოუკიდებლობა** | ჯერ არა | თამაშის წამოსაწყებად დამოუკიდებლად იღებს ნივთებსა და მასალას | | სიამოვნებით ასრულებს მორიგის როლს კვებისას | | ნივთებსა და მასალებს თავის ადგილზე აბრუნებს შეხსენების გარეშე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მაგალითი: მაიამ თაროდან თავსატეხების ყუთი აიღო და თამაში დაიწყო. | | მაგალითი: კვების დროს სუფრის გაშლაში ეხმარება აღმზრდელებს | | მაგალითი: მაკო ყოველთვის აბრუნებს სათამაშოებსა და მასალებს თავის ადგილზე, შეხსენების გარეშე |
| **არჩევანი** | ჯერ არა | თამაშის დროს დამოუკიდებლად ირჩევს როლს | | ირჩევს აქტივობას, რომელიც დაკავშირებულია მის ინტერესებთან | | ტანსაცმელს თავად ირჩევს |
| | | მაგალითი: მაიას უყვარს როლური თამაშის დროს მოლარის როლის შესრულება. | | მაგალითი: სალომე დიდ დროს ატარებს წიგნიერების სივრცეში, მას უყვარს წიგნების „კითხვა“. | | მაგალითი: ნათიას დედა ამბობს, რომ ის ყოველთვის თავად არჩევს რა ჩაიცვას |
| **ინიციატივა** | ჯერ არა | უერთდება უკვე დაწყებულ თამაშს ან აქტივობას და ითხოვს როლს. | | საუბარი მიჰყავს საინტერესო მიმართულებით | | მზურნველს სთხოვს დახმარებას როგორც თავისთვის ასევე მეგობრისთვის |
| | | მაგალითი: ალექსანდრემ თეოს სთხოვა, ჩაერთო ფრამატულ თამაშში, რომელსაც თეო გარკვეული დროის განმავლობაში სხვა გოგოსთან ერთად თამაშობდა. | | მაგალითი: აღმზრდელი: ,,მოდი, დღეს ჩვენი საყვარელი ცხოველები დავხატოთ“. ბავშვი: ,,მინდა დინოზავრის დახატვა!“ ეღმზრდელი: ,, რამე სხვას ხომ არ დახატავდი ?“ ბავშვი: ,,კარგი, დავხატავ დინოზავრს მზის სათვალით?“ | | მაგალითი: ნიკო აღმზრდელს ეუბნება -„მე და გიორგის კიდე გვჭირდება გირჩები, შეგვიგროვებ?“ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| თითოეული ქულით შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა: | | | | | | |
| ჯამი (შეფასებული ინდიკატორების რაოდენობა x ქულა): | | | | | | |
| ზედა მწკრივში მოცემული ქულების ჯამი: | | შესაძლო მაქს. ქულა: | 20 | პროცენტი: | % | |

**ქვესფერო5.2 თვით-მოვლა:** ბავშვი ავლენს პირად ჰიგიენას და თვით-მოვლის უნარებს.

| კატეგორიები: | ჯერ არა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჭამა** | ჯერ არა | დაღვრის გარეშე გადაადგილებს ღია | | იყენებს დანას კარაქის ან მურაბის წასასმელად | | მეთვალყურეობის ქვეშ იყენებს დანას რბილი საკვების |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დოქს/ფინჯანს, რომელიც მინიმუმ ¾-ით არის სავსე | | | | დასაჭრელად, |
